სახალხო გაზეთი

№ 735 კვირა, 28 ოქტომბერი 1912 წ. № 735

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წლიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
,, ,, თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

კანტორისაგან

1912 წ. პრემია „გრდემლის“ მისაღებად უკანასკნელი ვადა არის მომავალ წლის 1 იანვარი, ამიტომ ვთხოვთ ყველას, ვისაც პრემია ერგება, ამ ვადამდე უსათუოდ მოიკითხონ, რადგანაც 1 იანვრის შემდეგ პრემია აღარ შეენახებათ და ყოველნაირი მიწერ-მოწერაც მიმდინარე წლის პრემიის შესახებ **უყურადღებოდ იქნება დატოვებული.**

სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით

მიიღება ხელის მოწერა

1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.

1 ღვინობისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 2 მ. და 25 კ.

თვეში ღირს — — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლ. ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი“ ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., მარტისსათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

ღრმად დამწუხრებულნი **ბარბარე აბრამის ასული შენგელია, ადამ აბრამის ძე მეუღლით, ნინა ნესტორის ასული მამუჩაშვილები და ილია ივანეს ძე მეუღლით, ნატალია ისაკის ასული პაატაშვილები** გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველის დაუვიწყარ მეუღლისა და დანარჩენების საყვარელ სიძის

მათე (კოწო) გრიგორის ძის შენგელიას

გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე. ცხედარს გამოასვენებენ კვირას, 28 ამა ღვინობისთვეს, საკუთარ ბინიდან. (ხარფუხი, სეიდაბადის ქ. № 15) ხარფუხის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. დაკრძალვა ავლაბრის პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 756.

ელენე ნიკოლოზის ასული გოგიჩაიშვილი აცნობებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ სამშაბათს, 30 ოქტომბერს, მისი მამის

ნიკოლოზ ზებედეს ძის ცხვედაძის

გარდაცვალების წლის თავზე, დიდუბის ღვთის მშობლის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი— 11 საათზე. 760.

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795.

კვირას, 28 ოქტომბერს, 1912 წ.

ქართ. დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგ. იქნება

მესამედ ცნობილი ტრაგედია სოფოკლესი

ანტიგონე, თარგმნილი ბერძნულით გ. გვაზავას მიერ.

მუსიკა, ხოროსა და ორკესტრისათვის ფელიქს მენდელსონ-ბერტოლდისა.

დაუკრავს სიმფონიური ორკესტრი. მომღერალთა გუნდს ხელმძღვანელობს ბ. პ. პ. ფალიაშვილი. წარმოდგენის დაწყებამდე ბ-ნი **გ. ბ. გვაზავა** წაიკითხავს რეფერატს **ძველ საბერძნეთის თეატრზე.**

ამ პიესისათვის დამზადებულია ახალი დეკორაციები და ტანისამოსი.

მონაწილეობენ: ქ-ნნი გოგოლაშვილი, დავითაშვილი, ლოლუა, მარგარიტა, ქიქოძე, შოთაძე, ჯავახიშვილი. ბ-ნნი აბდუშელი, ალექსიძე, გუნია, ხარდალიშვილი, მატარაძე, მგალობლიშვილი, სარაული, შალიკაშვილი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე, ადგილების ფასი ჩვეულებრივი.

თეატრის დირექცია დაბეჯითებით სთხოვს ბ. მაყურებელთ, ფარდის ახდამდე დასხდნენ თავიანთ ადგილზე, რადგანაც ფარდის ახდის შემდეგ დარბაზში აღარავის შეუშვებენ.

1554 რეჟისორი **კონსტ. ანდრონიკაშვილი.** ქართ. დრამ. საზოგ. ადმინ.

ახალი კლუბი

ქართულ თეატრში 2 და 3 ნოემბერს 1912 წ.

— მხოლოდ — **ორი გასტროლი**

პირველ დასავლეთის ამხანაგობის ოპერეტის არტისტებისა.

ანონსი: სამშაბათს, 6 ნოემბერს, კონცერტი გამოჩენილ პიანისტისა კ. ბაროვსკისა. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. 1536.

ამხ. ,,ნახშირა''-ს გამგეობა

აუწყებს **ქვა-ნახშირისა და სათბობ მასალების ტფილისის ხაწყობთა პატრონებს,** რომ რადგანაც ამ საზოგადოების ხელშეკრულებას ტყვიბულის ქვა-ნახშირის მონოპოლიურ გაყიდვის თაობაზე **ვადა გაუვიდა,** ამისათვის დღეის მერე ვაგონები დაიკვეთეს პირდაპირ ყველა მსურველთაგან საზოგადოების გამგეობის ბინაზე, სოლოლაკის **ქუჩა, № 14.** 744

ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის წინამძღოლთა და **დეპუტატთა საკრებულო** აცხადებს, რომ **კვირას, 28 ამა ოქტომბერს, 12 საათ.** ქვაშვეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქმნება

სამადლობელი პარაკლისი მისი იმპერატორებითი უმაღლესობის მემკვიდრე ცესარევიჩის და დიდი მთავრის ალექსი ნიკოლოზის ძის ავადმყოფობისაგან განკურნების გამო. 1563

ავლაბრის სახალხო თეატრი (მურაშკოსეული, თელავის ქუჩა).

ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრისა.

კვირას, 28 ოქტომბერს,

ავლაბ. ქართ. სახ. წარმოდგენ. მმართ. წრის მიერ მსახიობ ი. ივანიძის მონაწილეობით **ილია ჭავჭავაძის დაბადების 75 წლის აღსანიშნავად** გამართულ იქნება

ილიას საღამო. 1) ქართული კონცერტი.

დადგმული იქნება ილიას ბიუსტი და მათურელის ლოტბარობით შესრულებულ იქნება ეროვნული სიმღერები.

2) სალიტერატურო გასამართლება

ილია ჭავჭავაძის პოემის „მეფე დიმიტრი თავდადებულისა“.

სასამართლოს თავჯდომარე თ. ნ ს ძე, ბრალ დასდებს ს. ივანიძე, მსაჯულება: შ. ფორაქიშვილი, რ. ბებიაშვილი, ნ. ივანოვი, რ. ჯიბლაძე, ვ. ბოლქვაძე, რ. სალაყაია, ა. კორძაია, სულთანოვი.

3) ახალი პიესა ავლაბ. სცენაზე **დამონებულნი,** დრ. 2 მოქ. ი. ივანიძისა. მონაწილეობას მიიღებს ავლაბ. წრის სცენის მოყვარეთა დასი. **დასაწყ. საღ. 8 ნახ. ს.** ადგილ. ფასი 4—50 კ. ✦ მორიგე გამგე **ნ. ივანიშვილი,** რეჟ. **ა. ივანიძე.** 1484

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

იყიდება შემდეგი სასიმღერო და საგალობელი ნოტები:

„სალამური“. სახალხო სიმღერები	25 კ.
ქართ. ერთხმ. სიმღერები, არაყიშვილისა	20 „
„ვაი დრონი, დრონი“. ქართლ. კილო	20 „
მოგონება. გურული კილო	40 „
ქართ. სიმფ. მეგრ. კილოზე	25 „
ლეკური ჯანდიერისა	30 „
ქართული რომანსი ფალიაშვილისა	50 „
ნანა, შვილო! ფალიაშვილისა	40 „
ახალ აღნაგო, მისივე	40 „
რვა ქართული სახალხო სიმღერა. მისივე	1 მ.—
ქართ. ხალხ. სიმღ. კრებული მისივე	1 მ. 50 „
ქართ. საეკ. გალობა მისივე	1 „ 25 „
ქართ. ხალხ. სიმღერები და ლექსები კარგარეთელისა	50 „
ქართ. სახ. სიმღერები მისივე	50 „
ქართ. ეროვნული სიმღერები ფორტეპიანოს აკომპ. არაყიშვილისა	1 მ.—
ქართული ცეკვა მისივე	50 „
მგოსნის სიმღერა ოპერიდან „თქმულება შოთაზე“ მისივე	60 „
Народныя пѣсни зап. грузіи мисивე	2 მ.—

ადრესი ტელეგრამისათვის: Тифлисъ Грамотность. 1141.



1553

ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა

ამით აცხადებს, რომ

წლიური კრება საზოგადოებისა

მოხდება დღეს, კვირას, 28 ოქტომბერს, შუადღის 12 საათზე, 1912 წელს. განსახილველი საგნები:

1. წარსული წლის 1911—12 ანგარიში; 2. ხარჯთ-აღრიცხვა მიმდინარე წლისა; 3. ძველი გამგეობის ანგარიში; 4. მოხსენება დრამ. კურსების შესახებ; 5. დრამ. საზოგ. წესდების მე-9 მუხლის შეცვლა (შესახებ საწევრო გადასახადისა); 6. გამგეობის წევრთა რიცხვის შევსება; 7. ახალ წევრების არჩევა. 1541.

გამოსულია და იყიდება

არჩილ ჯორჯაძის თხზულებანი

I ტ.	„ეროვნულ პრობლემის გარშემო“ ფასი	75 კ.
II „	„ჩვენი საზოგადოებრივობა“	80 კ.
III „	„ნააზრევი“	65 კ.
IV „	წერილები „ცნობის ფურც.“-„მოამბ.“ 1901—1902 წ.	85 კ.

შეიძლება დაკვეთა:

ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,

(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

ფასი 8 მანეთი, რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და **წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან.
ფოთში—იონა მეუნარგიასთან.
სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან.
სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.
სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.
ჭიათურაში—წ. კ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.
თელავში—თამარ აბაშიძესთან.
ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.
ბაქოში—ილია აგლაძესთან.
ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.
ერევანში—ელენე ვირსალაძესთან
ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან.
გორში—ნიკო ლომაურთან. ახალციხეში—როზალია ალელიშვილთან

ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზანის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია. 1153

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან ძმენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

შინაგანი სნეულებანი.	**დბვითიანი რ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2. **მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მაღალაშვილი გ. გ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ქირურგიული სნეულებანი.	**მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ყოველ-დღე 11½—12½.) **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
ქალთა და საშოსნოიის სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ხულბაკოვი ა ი.** (ყოველ დღე) 12—1.
ბავშვთა სნეულებ.	ექ. ქალი **ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყო დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. სნეულ. და ელექტ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დბვითიანი რ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2. **ფონდოევი, გ. ს.** (ყოველ-დღე) 1—2 ს.
ყურ. ყელ. და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1½ **თრემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათა შორის Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ 914 და **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. წ. 1010.

ანასტასია გედევანიშვილის

საბავშვო ბაღი

ბავშვების მიღება ყოველ დღე 10 ს. 1 საათამდე, წყნეთის ქუჩა, ქართული გიმნაზიის შენობა. 1564.

იჯარით იძლევა

ყველაფრით გაწყობილი არტისტიულის თეატრის გალერეის „ბუფეტი“. უსათუოდ საჭირო არის მცოდნე პირი.

მელავორი ქუჩა № 36. ს. 4. 762.

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის ახლოვლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათ ...ან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1020

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ. კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ და ცხვ. სნეულ. 11—11½.

ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით 11—11½ საათ.

ნ. მ. მელიქიშვილი ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ივ. გომართელი.—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიურიქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასირჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

წამლობა „606“-ით. 1018

დოქტორი მედიცინისა ბერლ. უნივერს.

გ. გ. მებრაბიანცი

შინაგ. ავადმყ., ავადმყოფობ. ფილტვ.—ტუბერკულ. და გულისა. წამლობს ტუბერკულინით, რადიისა და ელექტრონის პრეპარატებით. იღებს ყ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—12 ს. და საღამ. 5—7 საათ. ადრესი: **სოლოლაკი,** ბებუთოვის ქ., № 23 (განოვის ქ. კუთხე). **ტელეფ. 7—82.** 724

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. **№ 20.** წ. 1022

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დი. ქ.-ზე, № 3, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ასპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

არგუთინსკი, შინაგ., ბავშვ. ყ.-დღ. 10 ს 1½ ს.

ახვლედიანი შინაგან სნეულ. საბავშ. სამშაბათ. ხუთშაბათ. შაბათ. საღამოს 4—5 საათ.

ბოჟევსკი. შინაგ. საბავშ. ორშაბ. ოთხშაბ. პარასკევ. საღამ. 4—5 ს.

მონსე. ბავშ. და შინაგ. ავად ორშ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 საათ.

ნოვიცკი. ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს,

კალამკაროვი. ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 სათ.

უკლადნიკოვი. შინაგ. ავად. სამშ., ხუთ შაბ. 4—5 საათ.

თეთრაძე. სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ. 1—3 ს.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 11½—12½

რუდენკო. შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.

ვეხელოვზოროვი ქირურგ. ავად. ყოველ დღე, გარდა კვირ. დღ., 3—4 საათ.

ერმოლაევი—ბავშვ., შინაგან. ყ.-დღ. 1-2 ს.

იოსელიანისა ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ. 11—12 საათ.

ბესსერი შინაგ., ნევრ.-ავადმ. — სამშ., ხუთშ., შაბ. კვ. 2—3 ს.

ბაგდოევისა, კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

ლიმონი. კბილ. ყ.-დღ. 11—12 ს.

შამაში, ქირურგ. ავადმყ ყ.-დღ., კვ. გარდა 1½ 2½ ს.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-ს საღამოს 5—7 საათამდე.

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. სიიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ს. სუბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინადწინვე ჩაწერით. 366.

ექიმი ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—4 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334.

ექიმი ქალი დ. გ. საყვარელიძე. იღებს ავადმყოფებს ქალისა და საბებიო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5 6 საათამდე. კიროჩნის ქუჩა, № 9. 595.

ექიმი ს. ი. გძელიშვილი შიგნეულობისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—11 საათ., საღ. 6—8 საათ. დიღუბე, საგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდგან მარჯვნივ), № 21, ხრამელაშვილის სახლი. დღისით: 2—4 საათამდე ბარონისა და ბაზრის ქუჩის კუთხე, № 14. 1411

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელიზაბედ.** ქ., № 94, სადოსტო განყოფილ. პირდაპირ. 1530

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, ს. გაბაშვილისა.

ექიმი კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ჭაჭაია იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151. დიდუბე 1049

ექიმი ივ. გომართელი **დაბრუნდა** და განაახლა ავათმყოფების მიღება. ვერაზე, ოლგას ქუჩა № 20. დილის 8—11 ს.-მდე, საღ. 5—7 საათ. 701.

ექიმი პ. არდაზიანი შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმი-ქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. 1045.

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს **შინაგან და ბავშვათა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 6.

მოლიპულ გზაზე

ჩვენს ეხლანდელ ლექსიკონში არის სიტყვა, რომელსაც ისე ხშირად, უგუნურად და უადგილოდ ხმარობენ, რომ მას თითქოს დაეკარგა პირვანდელი მნიშვნელობა, შინაარსი გამოეცალა და, გაცვეთილი და გახუნებული, დარჩა იგი მავნებელ იარაღად ცბიერთა და ფარისეველთა ხელში. ეს სიტყვა არის—სოლიდარობა.

უნებლიედ მაგონდება სადღესასწაულო იუბილეებზე და ბანკეტებზე წარმოთქმული სიტყვები, სადაც სხვა და სხვა ერთა წარმომადგენელნი ურთიერთისადმი სიყვარულს აღიარებენ, სადაც ერთმანეთის ქება-დიდებაში არიან და სადაც, აღგზნებულ გრძნობათა ატმოსფერაში, თითქოს მართლაც სრულდება და იქნება საიდუმლოება ნამდვილ ძმობისა და მეგობრობისა. რა ბედნიერი ვარ, რომ ამ სიტყვებს მხოლოდ შორიდან ვუგდებ ყურს, რომ არ განვიცდი ყალბ აღფრთოვანებას, ხელოვნურად შექმნილს და ეხლა, როდესაც ფარდა ახდილია და ფიგოსის ფურცელი, ურცხვობას რომ ჰფარავდა, გამხმარა, შემიძლია მწარის დარწმუნებით ვსთქვა: სომეხ-ქართველთა ურთიერთობაში შეიპარა ისეთი რამ, რაც ორსავე მხარეს სიკეთეს არ გვიქადის!

საქმე მართლაც უნუგეშო მდგომარეობაშია. და მოხდა ყოველივე ეს იმიტომ, რომ დინჯად და სერიოზულად არ მოვინდომეთ ეროვნულ პრობლემის განხილვა, გადაწყვეტა გაშუქება. ჩვენ მხოლოდ „სოლიდარობაზედ“ ვყაყანებდით და და ჯვარს ვაცმევდით იმათ, ვისაც სწორედ ამ სოლიდარობის გულისათვის სწყუროდათ და უნდოდათ იმ პირობების შესწავლა, ურომლოდაც ვერც სოლიდარობას, ვერც ერთობას ვერ დაამყარებთ ორ მეზობელ ერთა შორის. დასცინოდნენ და ჰკიცხავდნენ იმათ, ვისაც სოლიდარობის საქმე მკვიდრ ნიადაგზე უნდოდათ დაეყენებინათ. შოვინისტებს და ნაციონალისტებს უწოდებდნენ მათ და ეხლა, მოიმკეს ის, რაც მოსამკელი იყო. დიაღ, ბატონო „ჩიტირეკიებო“, მოლიპული გზით სიარული ხეირს არავის დააყრის!

„ჩიტირეკიებს“ რომ ვამბობ, უნდა ვსთქვა, რომ ეს სიტყვა მე არ მეკუთვნის. ამ დღეებში მივიღე მშრომელ ერთ ჯგუფისაგან ფრიად საყურადღებო წერილი, რომელიც ზემოდ აღნიშნულ საგანს ეხება და „ჩიტირიკიებათ“ სწორედ ამ წერილში არიან მონათლულნი იმ ტიპის მოღვაწენი, რომელნიც სიტყვას-სოლიდარობას, ბოროტად ხმარობენ და ერთა შორის პატივცემის განვითარების საქმეს ნებსით თუ უნებლიეთ ძირს უთხრიან.

ამ წერილიდამ მოვიყვან ზოგიერთ ადგილს. მკითხველისთვის საინტერესო უნდა იყოს, რას ფიქრობს ჩვენი ხალხის ის ნაწილი, რომელმაც შეინარჩუნა აზროვნების დამოუკიდებლობა და რომელიც „თეორიებით“ დაუმახინჯებელ საღის გონებით სჯის ჩვენს ცხოვრებას. ეს მით უმეტესად მიმაჩნია საჭიროდ, რომ წერილის ავტორები მთხოვენ როგორც მე ისე სხვებსაც დაადასტურონ მათი აზრი, თუ იგი მართალია, ან საბუთიანად უარჰყონ, თუ იგი უსაფუძვლოა. მაშ მოვისმინოთ. უცვლელად ვსტოვებ სტილს.

... „ჩვენ, როგორც მდაბიო ხალხი, ბევრი ვითათბირეთ და ვჩხრიკეთ, თუ როგორ აგვეხსნა სიტყვა სოლიდარობა და რანაირად უნდა მოგვევლო თავი იმ საკითხისათვის, რომ მართლაც სხვა ერისთვის სოლიდარობა გაგვეწია და ჩვენც სამასხაროდ არ გავმხდარიყავით იმ ერის თვალში, რომელსაც ჩვენ სამსახურს გაუწევდითო“...

თავი და თავი, მართლაც, ეს არის—სოლიდარობა ისეთი, რომ სამასხაროდ არავინ გახდეს. და თუ გახდა, ამის შესახებ წერილის ავტორნი ამგვარად სჯიან:

„ჩვენ ამნაირს სოლიდარობაში ვგულისხმობთ იმას, რომ ჩვენ ჩვენი თავი უარვყოთ და გავილესოთ სხვა ერში, სხვას შევწიროთ... ჩვენ ეს სიტყვა სხვანაირად ვერ გვგვიგია, ვერც აგვიხსნია და ამიტომ მოგმართეთ უმორჩილესის კითხვით, რომ ნათელ ჰყოთ, რომ ჩვენც ვიცოდეთ. მაგრამ ჩვენ მაინც ვერ შევურიგდით ისეთ ნაირად დაყენებულს სოლიდარობას და უწოდეთ ამას მეტის მეტი სუსტი მხარე და თავის თავის უარის ყოფა და სხვის სამასხაროდ გახდომა. ამნაირს სოლიდარობას, რომელსაც ჩვენ გვიქადაგებენ, ყოველი შეგნებული მეტოქე ერი უწოდებს სისულელეს და სხვის მონას. ადამიანი არ უნდა იყოს კაცთ-მოძულე და კაცი-ჭამია, მძარცველი და სხვისი ქონებისა და დიდების მითვისებელი. და უნდა უყვარდეს ყოველი ისე, როგორც თავისი თავი, თორემ კაცი თუ თავის თავს პატივს არა სცემს და არ შეიყვარებს, ის ვერც სხვას შეიყვარებს და ყველგან იქნება უარყოფილი! თუ კი ჩვენ ერთმანეთს რეგვენივით შევეწირებით, მაშინ რაღად გვინდა ცხოვრება ქვეყანაზე, ან რაღად ვიხუთქავთ თავს და რაღაზე ვიბრძვით ან სხვისთვის და ან ჩვენთვის“...

„... ყველას უფლება აქვს თავისთვის იცხოვროს და იბრძოლოს თავისი მერმისისათვის, ოღონდ უნდა იყოს დაცული სასტიკად ის, რომ თავისი ბედნიერება სხვის უბედურებაზე არ ააშენოს. აი ამას ვუწოდეთ ჩვენ ჩვენის აზრით სოლიდარობა და არა იმას, რომ ერთი გაილესოს მეორეში და თავისი ბედნიერება ააგოს სხვის უბედურებაზე მოტყუებით და მლიქვნელობით და სოლიდარობის გუნდრუკის კმევით!“..

წერილის ავტორები ეკითხებიან „მოციქულთ“. ...„მივმართავთ თხოვნით, განგვიმარტონ და დაგვაყენონ გარკვეულს გზაზე, როგორ მოვიქცეთ და რა გზით ვსცნოთ ეს სოლიდარობა იმათებურად: გავილესოთ და გავითქვიფოთ სხვა რომელიმე ერში და უარვყოთ ჩვენი ვინაობა იმიტომ, რომ გუნდრუკი გვიკმიონ და სოლიდარ-დემოკრატები დაგვიძახონ! და გულში კი უტვინოები და სულელები გვიწოდონ? აი ამას ვსთხოვთ აგვიხსნან გულწრფელად და არა ორჭოფულად, აქ ორი სიტყვა აღარ შეიძლება. ჩვენ ამით არ გვინდა ვსთქვათ, რომ სხვას ხელი შევუშალოთ, არა და ათასჯერ არა. ჩვენ თანაუგრძნობთ ყველას ყოველ კეთილ საქმეში, ოღონდ ჩვენა გვსურს ვიცოდეთ, როგორ მოვიქცეთ?..“

...„ჩვენ, ჩიტირეკიებმა, აღარ ვიცით, რა ვქნათ და რა მოვიმოქმედოთ და გვცხვენია იმისიც კი, რომ ერთი ვინმე ხის ამომღები გავგზავნოთ ჩვენი დაბეჩავებული ქვეყნის ავისა და კარგისათვის, რა არის ნაციონალისტები არ დაგვიძახონ... გვცხვენიან და გვეშინიან ჩვენი თავი დავიცვათ და ხმა ამოვიღოთ. ამაზე მეტი სილაჩრე იქნება, ბატონებო!“

...„ახლა კიდევ გეკითხებით, ბატონებო: რა სოლიდარობა და დიდება იქნება ჩვენთვის, რომ ჩვენ სომხებში გავითქვიფოთ და გავგზავნოთ ვინმე იმათი სურვილისამებრ! განა ისინი საჭიროებენ ჩვენს დახმარებას (თუ გასულელებას—უფრო გვგონია). განა იმათ უნარი და მოხერხება აკლიათ? ან და ძალა, ჭკუა და გამჭრიახობა არ შესწევთ, თუ რა? ამათ ყველაფერი შესწევთ და ხელს უმართავს და მასთან, თუ კი იშოვიან ჩვენისთანა სუსუქ შვილებს და უნარ მოკლებულებს, რომელთაც მარტო სიტყვა სოლიდარობაში შეუძლიანთ გასცვალონ თავიანთი ინტერესები და ამით ხელი შეუწყონ, რატომაც არ უკმევენ გუნდრუკს ამისთანა სოლიდარ დემოკრატებსო... და სხვა.

ზემო მოყვანილ ნაწყვეტებიდან სჩანს თუ რა სწორე ალღო აულიათ წერილის ავტორებს. მათ კარგად იგრძნეს, რომ როდესაც ერთა ურთიერთობაში ერთი მხარე გამასხარავებულია, იქ სოლიდარობაზე ლაპარაკი თითქმის რომ დანაშაულობაა. და მიმდინარე ამბების ხასიათი რომ სწორედ ამგვარია, ამაში, ვგონებ, აღარ არის ეჭვი თვით იმ ბანაკში, სადაც შეჰქმნეს ის სამარცხვინო მდგომარეობა, რომელშიც დღეს ქართველობა იმყოფება.

როგორც გინდათ მოუარეთ საგანს. აქედამ თუ იქიდამ, მდგომარეობა მართლაც და სამარცხვინოა. ეს იგრძნეს თვით სომხებმაც. ბ. ევანგულოვის წერილი, ადგილობრივ რუსულ გაზეთებში დაბეჭდილი, ძვირფასი დოკუმენტია საგნის ნათელსაყოფად. ამ წერილში, სხვათა შორის, ვკითხულობთ:

„მე არ ვეხები სომეხ-სოციალისტებს და დაშნაკელებს, რომელთაც მხარი უნდა დაეჭირათ სოციალ-დემოკრატიულ კანდიდატურისათვის. სახეში მყავს ნაციონალისტური მიმართულების ზომიერი სომხები, რომელნიც, ერივანის და განჯის ამომრჩეველნი რომ ყოფილიყვნენ, ნაციონალისტ-პაპაჯანოვს დაუჭერდნენ მხარს და რომელნიც უკიდურესი მემარცხენის ბეჭზადიანის არჩევას საერო ხასიათის უბედურებად მიიჩნევდნენ; სახეში მყავს შინაურობაში გამოჩეკილი ის პოლიტიკოსები, რომელთაც ჰგონიათ, ვითომ მათს ნაციონალურ ინტერესებისათვის ტფილისის გუბერნიაში უპრიანია ქართველ სოციალ-დემოკრატის და არა ქართველ-ნაციონალისტის დეპუტატობა“.

სოციალ-დემოკრატ სომხების და დაშნაკელების ერთ ბანაკში მოთავსება შეცდომაა. თუ არიან სომეხი სოციალ-დემოკრატები მათ წინააღმდეგ არა ითქმის რა. მაგრამ დაშნაკელების კავშირი ქართველ სოციალ-დემოკრატიასთან კი იმგვარადვე არა ბუნებრივია, როგორც სომეხ-ზომიერ ელემენტების კავშირი ამ უკანასკნელებთან. ამის შესახებ უკვე გვქონდა ლაპარაკი. დრო დადგება, უფრო ვრცლად დავასაბუთებთ ჩვენს აზრს. ხოლო დღეს ამას თავი დავანებოთ. ვილაპარაკოთ სომხის ზომიერ ელემენტებზე. ბ. ევანგულოვი ნათლად აღიარებს, რომ სომხის ბურჟუაზიის წარმომადგენელნი არჩევნების საკითხს სწყვეტდნენ მრუდედ განმარტებულ სომეხ-ნაციონალურ ინტერესების თვალსაზრისით. ამგვარად, თვით სომხის მიერ დამოწმებულია ის ფაქტი, რომ ზომიერი—სომეხი ეკავშირება უკიდურესს ქართველ—სოციალ-დემოკრატიას თავისი შოვინისტური პოზიციის გამაგრებისათვის. რომ აქ მართლაც შოვინისტური პოზიციის გამაგრების საკითხია და სხვა არაფერი, ამის საბუთსაც გვაძლევს ბ. ევანგულოვი. მას ვერ გაუგია სომხებს რატომ უნდა ჰქონდეთ შიში ქართველ ნაციონალისტებისა. იგი ამბობს:

„სომხები ალბად იმას მიპასუხებენ, რომ დეპუტატის მოღვაწეობა სათათბიროს დარბაზით არ ისაზღვრება. იგი საზოგადოებაში, კულუარებში და მინისტრთა მისაღებ დარბაზში ტრიალებს. იგი გაზეთების რედაქციებშია მუდამ. და აი აქ შოვინისტი-ქართველი ცილს დასწამებს სომხებს და იმის ცდაში იქნება, რომ მთავრობას გამოსთხოვოს საქართველოში მცხოვრებ სომხეთა უფლებების შეზღუდვა. ეს შიში, დღევანდელ პირობებში, გადამეტებულ შიშად მიმაჩნია (мнѣ кажется значительно преувеличеннымъ). ქართველი შოვინისტი დღეს რუსეთში აუდიტორიას ვეღარ იშოვნის. ამასთან თავი და თავი ის არის, რომ ლუარსაბ ანდრონიკაშვილი სრულიადაც არ არის შოვინისტი. პეტერბურგში, კავკასიის საქმეთა აურზაურს დაშორებული (вдали отъ кавказскихъ дрязгъ), ანდრონიკაშვილი ამაღლდა მთელი მხარის საერთო საზრისამდე. მას შეგნებული აქვს კავკასიაში მცხოვრებ ყველა ერთა ინტერესების იგივეობა... ამასთან ანდრონიკაშვილი გულწრფელი არმიანოფილია, რაიც დაამტკიცა ბაქოში სომეხ-თათართა შეტაკების დროს და ეხლა ხანს დაშნაკცუტუნის პროცესებში“...

საგულისხმო აღსარებაა. ქართველ ეროვნულ ინტერესების დამცველი დეპუტატი იმგვარ ადამიანად ელანდებათ, რომელიც იმის ცდაში იქნება, რომ საქართველოში მცხოვრებ სომხების უფლებათა შეზღუდვას გამოსთხოვოს მთავრობას. თვით ბ. ევანგულოვს ეს შიში „значительно преувеличеннымъ“ ჰგონია; ეტყობა კი ერთ დროს ისიც იზიარებდა ამ შიშს, ხოლო ეხლა გადაჭარბებულად მიაჩნია, თუმცა ცოტათი ამ ხასიათის შიში ეხლაც აქვს. მაგრამ კარგი ის არის, რომ ვიცით მაინცა როგორის თვალით უყურებს სომხის ბურჟუაზია ქართველთა ეროვნულ-კულტურულ მოძრაობას, საგულისხმო ისიც არის, რომ ბ. ევანგულოვის ეროვნებათა მოურიგებლობის საკითხს ახასიათებს როგორც „кавказскія дрязги“ და ამ „დრიაზგებს“ უპირისპირებს კავკასიურ ინტერნაციონალიზმს. ეს ტერმინოლოგია სომეხბურჟუაზიის ჩვეულებრივი ტერმინოლოგიაა. ხოლო ამ ტერმინოლოგიის შინაარსი თვით ბ. ევანგულოვმა აგვიხსნა, როდესაც განმარტა აზრი სომეხ-ბურჟუაზიის დაკავშირების ქართველ სოციალ-დემოკრატიასთან. ეს აზრი სომხურ შოვინისტურ პოზიციების გამაგრებაა. ბ. ევანგულოვი, კეთილის განზრახვებით გამსჭვალული, ალბად ვერ ჰგრძნობს ამ წინააღმდეგობას. ნეტავი თუ იგრძნობენ მას ჩვენებური ეს-დეკები.

მაგრამ, რა ფასი აქვს ამ არგუმენტს იმ პოლიტიკურ პარტიისათვის, რომელიც დიდებულ პრინციპებით მორთულ-მოკაზმული, სომხის ბურჟუაზიის პოლიტიკურ ცინიზმს თავის სასარგებლოდ იყენებს და სული არ ეხშობა აშმორებულ ატმოსფერაში, ჩვენში რომ დატრიალდა უკანასკნელ ხანებში.

როგორი აზრისაც გინდათ ბრძანდებოდეთ თქვენს მაღალ მისიის შესახებ—კვერი დაუკარით და გაამართლეთ ის აზრი, რომ კავკასიის ადმინისტრატულ ჩარჩოებში ნაძალადევად ჩაჭედილ ერების ბედნიერება „სოლოლაკელთა“ მიერ ნაკარნახევ „კავკასიურ ინტერნაციონალიზმის“ გამარჯვებით განხორციელდება და რომ ამ ინტერნაციონალიზმს უნდა შევეწირნეთ ზვარაკად,—ამ მოლიპულ გზაზედ თქვენი თანამგზავრი იქნება მხოლოდ სომხის ბურჟუაზია, რომელიც უკვე აღარც კი ჰმალავს, რომ პამპულებსავით გათამაშებს და გახტუნებს და რომ თქვენით ქართველ ერის ღირსებას დასცინის და მასხარად იგდებს. განაგრძეთ ამ გზით სიარული, ხოლო ფეხები რომ წაგისხლტებათ, წაბარბაცდებით და მიწას რომ გაეკვრებით, ნუღარ გეწყინებათ „სოლოლაკელთა“ სიცილ-ხარხარი რომ მოგესმებათ შორი-ახლოდან და ნუღარ აღშფოთდებით ამ სიცილ-ხარხარში ზიზღს რომ იგრძნობთ თქვენდამი!

არჩილ ჯორჯაძე.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **მეფის მოადგილეს წარუდგა** 25 ოქტომბერს ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი, კამერ-იუნკერი, თავ. პ. ი. თუმანიშვილი.

◆ **ყუმბარებით ფოსტაზე თავდაცემის გამო.** ამ ოთხი დღის წინად ბორჩალოს მაზრაში, ალავერდის ქარხანაში, შეიპყრეს და გაძლიერებულ ჯარის თანხლებით ტფილისში ჩამოიყვანეს ერთი უცნობი, რომელმაც გერასიმ გლახვიანცი დაირქვა. მას ბრალდება კოჯორის გზაზე ფოსტაზე ყუმბარით დაცემა.

◆ **რედაქციამ მიიღო** მ. კალანდაძის მიერ ბათომში გამოცემული ახალი წიგნი **„დედაკაცი და სოციალიზმი“ აგუსტ ბებელისა,** თარგმანი რ. რაჟდენიძისა და გ. მუმლაძისა. ეს წიგნი ხელის მოწერითაა გამოცემული. ამას წინად ცენზურამ აკრძალა მისი გავრცელება. შემდეგ კა წიგნიდან გამოსტოვეს ბოლოში დართული წერილი „ქალის მდგომარეობა კავკასიაში“—ჩ. რ—ძისა და გავრცელების ნება დართეს გამომცემელს. წიგნი ხელის მომწერთ დაურიგდებათ და გასასყიდადაც იქნება წიგნის მაღაზიებში. წიგნი დიდი ზომისაა, რიგიან ქაღალდზეა დაბეჭდილი, 710 გვერდიანია და გასასყიდად ღირს მანათ-ნახევრად. თავის დროზე შესაფერს ბიბლიოგრაფიას მოვათავსებთ.

◆ **წვრილი კრედიტი სოფლად.** წვრილ კრედიტის საქმეთა ტფ. საგუბერნიო კომიტეტმა ნება დართო, წვრილი კრედიტის ამხანაგობანი დაარსდეს შემდეგს ადგილებში; 1) მეტეხსა (გორის მაზრა), 2) ახალქალაქში (გორის მაზრა), 3) ბორბალოსა (ტფ. მაზრა), 4) პრივოლნოესა (ბორჩალოს მაზრა), 5) ფასანაურსა (დუშეთის მაზრა) და 6) სტეფანწმინდაში (დუშ. მ.).

◆ **ახალი ჟურნალი.** გუბერნატორმა ნება დართო ნ. ს. სამნიაშვილს, გამოსცეს ტფილისში ქართულ ენაზე ყოველთვიური ჟურნალი „მწიგნობრობის ქვეყანა“.

◆ **ქართულ გიმნაზიასთან არსებულ უფასო სასადილოს გამგეობის დავალებით** გავახსენებთ ქართველ საზოგადოებას, რომ გამგეობას დიდად ესაჭიროება ნივთიერი დახმარება. იმედი გვაქვს, რომ მრავალი სათნოიანი ხელი ხალისიანად დაეხმარება ამ ფრიად სასურველ დაწესებულებას.

◆ **მეღვინეობისა და მევენახეობის კომიტეტს** 1913 წლისათვის 19,000 მან. ეძლევა. ამ ფულიდან 5,000 მან. ფილოქსერასთან ბრძოლას მოხმარდება.

◆ **საყურადღებო წიგნი.** ამ დღეებში გამოვა ქართული წიგნი: „ფილოქსერა და მასთან ბრძოლა“, შედგენილი ს. მ. ჩოლაყაშვილის მიერ. 100 ცალს ამ წიგნისას ავტორი უფასოდ უთმობს ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას სოფლის სკოლებისათვის დასაგზავნად.

◆ ტფ. საბირჟო კომიტეტი, ძლიერ დაინტერესებულია იმისი, რომ შინა მრეწველობის საგნებთა გამოფენაზე მორტ-საიდში გამოფენილი იყვეს აგრეთვე კავკასიის შინა-მრეწველობის ნაწარმოებანი, ამიტომ საბირჟო კომიტეტმა ცნობები დაუგზავნა კავკასიის ყველა შინა-მრეწველობის ფირმებს.

◆ **ტრამვაის დაჯარიმება.** ქალაქის კანტროლიორმა ა. ლანდიამ ქალაქის მთავარ კანტროლიორს ქაღალდი წარუდგინა, რომლითაც სთხოვს, ტრამვაის დირექცია კიდევ 830 მან. დააჯარიმოს, რადგანაც 26 ოქტომბერს ტრამვაის ვაგონები წესიერად არა დადიოდნენ.

◆ **ქალაქის ლომბარდს** წარსულ სექტემბრის განმავლობაში გაუცია 26,699 მან. ლომბარდიდან ამავ ხნის განმავლობაში გამოუხსნიათ 25,739 მანეთად დაგირავებული ნივთები.

◆ **ქალაქის გამგეობამ** ტრამვაის საზოგადოების სათადარიგო თანხიდან 5,219 მან. ჩარიცხა ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვაში იმ ჯარიმების დასაფარავად, რომელიც ამ დღეებში ქალაქმა ტრამვაის დირექციას დაადო.

◆ 1912 წლის განმავლობაში, 1 სექტემბრამდე ტფ. საბოტანიკო ბაღი ექსკურსანტების გარდა დაუთვალიერებია 53000 კაცს.

◆ ქალაქის თვითმმართველობის შტატების რეორგანიზაცია პირველად შეეხება უმთავრესად ბუხგალტერიას, საიურის კონსულტის განყოფილებას, [illegible] სამრეწველო განყოფილებას და შემფასებელ განყოფილებას.

◆ ტფილისში სცადეს საქონლის დანიურ წესით კვება, რომელმაც კარგი შედეგები მოიტანა. მაგალითად წელს ძლიერ კარგი ბამბის დაჭყლეტილ კურკისაგან გაკეთებულმა საკვებმა.

◆ კავკასიის ნამესტნიკის განკარგულებით, საგანგებო საქმეთა მოხელე მის კანცელარიასთან კამერგერი თავადი დაინიშნა განჯის გუბერნიის მმართველად, სანამ გუბერნატორი კოვალიოვი არ დაბრუნდება საგუბერნიო მმართველთა კრებიდან.

საზოგადოებანი და კრებები

◆ დღეს, შუადღის 12 საათზე, ქართულ თეატრში ქართულ დრამატიულ საზოგადოების წევრთა საზოგადო წლიური კრება მოხდება, ანგარიშიდან სჩანს რომ საზოგადოებას 1911 წლის 1 აპრილიდან 1912 წლის 1 აპრილამდე შემოსავალი ჰქონია სულ 36456 მან. 2 კაპ. აქედან ძველი სეზონის დარჩენილი 17 მ. 48 კაპ. ამავე დროს ხარჯი ყოფილა 34861 მან. და 95 კაპ. ხელში დარჩენილა ნაღდად 1594 მან. 7 კაპ. სეზონის განმავლობაში, რომელიც 4 თვეს გაგრძელდა გამართულა სულ 41 წარმოდგენა. განმეორებით კი სულ 50. აქედან 14 ახალი პიესა დადგმულია; მათ შორის ორიგინალური ყოფილა სულ 4 და 3 გადმოკეთებული. 41 წარმოდგენაზე დასწრებია სულ 19108 მსმენელი, მათ შორის ლოჟებსა და პარტერში, ადგილებში, რომელნიც მანეთზე მეტი ღირს სულ 2463, მანეთს ნაკლებიან ადგილებში კი 16,645.

◆ 27 ოქტომბერს, ქართულ თეატრში დაიწყო მეცადინეობა **ქართულ დრამატიულ საზოგადოების დრამატიული კურსებზე**: ლექციების წაკითხვამდე კურსების დირექტორმა ვლ. სარ. ალექსი-მესხიშვილმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა, რომ ეს დღე ქართული დრამის და თეატრის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერება. აღნიშნა, თუ რა ღვაწლი მიუძღვის კურსების დაარსებაში თავად-აზნაურობას და მეორე მხრივ დრამატიულ საზოგადოებას და მის თავმჯდომარეს ნ. ე. ქართველიშვილს. შემდეგ ლექციები წაიკითხეს: პრივ. დოც. დუბროვსკიმ—დასავლეთ ევროპას ლიტერატურის ისტორიის შესახებ; ვ. მესხიშვილმა მიმიკის შესახებ და ს. კაკაბაძემ—საქართველოს ისტორიის შესახებ.

◆ **ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების** წევრთა კრება 26 ოქტომბერს მოხდა. კრებამ მსჯელობა იქონია ფილოქსერის შესახებ რომელმაც კახეთში თავი იჩინა, ფილოქსერასთან საბრძოლველად სხვა და სხვა ღონისძიება იქმნა დასახელებული. დასასრულ არჩეულ არჩეულ იქმნა კომისია, რომელსაც დაევალა გამოარკვიოს, რა გზით არის შესაძლებელი თელავში მომხდარ თათბირის დადგენილების განხორციელება. როგორც მკითხველებს თავის დროზე ვაცნობეთ, თათბირმა საჭიროდ იცნო გაშენდეს კახეთში ხუთი საცდელი-საჩვენებელი ვენახი და ორიც—მწვარე ვაზის სანერგე. კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ: პ. მელია, ს. ხუნდაძე, ვ. რცხილაძე, ი. იოსელიანი, ვ. მჭედლიშვილი და გ. წინამძღვრიშვილი.

◆ **ქალაქის საბჭოს** კრება ორშაბათს, 29 ოქტომბერს მოხდება განსახილველი 13 საქმე.

◆ **სახლის პატრონთა და მდგმურთა** საზოგადოების საბჭოს კრება 26 ოქტომბერს მოხდა. წინასწარ ხარჯთ-აღრიცხვის განხილვისა და დამტკიცების შემდეგ საბჭომ თავის წევრთა შორის გამგეობის წევრნი აირჩია. არჩეულ იქმნენ: თავჯდომარედ—ა. ს. ბაბოვი, მის ამხანაგად—ე. ი. მინასიანცი, ხაზინადრად ა. მ. მეკკელი, მის ამხანაგად—ბელოზერსკი, მდივნად-ვ. კ. ბარსამოვი და მის ამხანაგად—გ. ლ. წილოსანი.

◆ 26 ოქტომბერს, რუსეთის მეხილეობის საზოგადოების ამიერ-კავკასიის განყოფილების წევრთა კრება მოხდა. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა წევრების ნ. პ. ერისთავისა და სუოიხოლსკის ხსენებას. შემდეგ თავმჯდომარემ კრებას მოახსენა საზოგადოების მოქმედების ანგარიში და განხილულ იქნა დანარჩენი საქმეები. ბოლოს კი მოხდა თავმჯდომარისა და გამგეობის წევრების არჩევანი. თავმჯდომარედ აირჩიეს ს. ს. ხეთაგური, მის ამხანაგად — რ. გ. შმიდტი, გამგეობის წევრე-

ბად: ვ. მ. სავინი, ვ. ა. ზეიდლიცი, პ. გ. მელია და ა. ლ. ათანასიანი.

სასწავლებლებში

27 ოქტომბერს **მიწის მზომელთა სასწავლებელში** სამღვთო-რჯულის გაკვეთილზე დაესწრო ეპისკოპოსი პიმენი.

სასამართლო

მილიონერ-ტაგიევისა და სხვათა საქმეს ტფილისის სამოსამართლო პალატა 1913 წლის 28 იანვარს გაარჩევს.

ქუთაისი

ამ ჟამად ქუთაისის **საგუბერნიო სატუსაღოში შემდეგი პოლიტიკური ტუსაღებია:** მელიტონ გობეჩია, ზოტიკე და თომა ჩიქვილაძეები, გრიგოლ გიორგაძე, რაჟდენ არსენიძე, სიმონ ჯაფარიძე, ივლიანე იაშვილი, ლუკა ბერიშვილი, ევგენი დვალი, შალვა იოსელიანი, ფარნა გეგელია, სოლომონ თავაძე, ნოე ჩაჩავა, მოსე ცხოიძე, მოსე კილურაძე, ფარნაოზ ჯიქია, ლათიკო ზენდელიანი, ანტონ ბასილაია, ალექსანდრე თოფურია, ლუკა ბაკურია და იოსებ ციბაძე.

16 ოქტომბერს, ქუთ. სატუსაღოდან ქ. პეტროვსკაში გაიგზავნა შემდეგი პირები: სამსონ ჯღარკავა, სიმონ გატელია და მიხეილ ჯოჯუა. მათ სასამართლოს მიერ მისჯილი აქვთ სხვა და სხვა ვადით ტუსაღთა გამასწორებელი რაზმი.

დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

სიღნაღი. დღეს 27 ოქტომბერს, ილია ჭავჭავაძის დაბადების 75 წლის თავზე. ქიზიყელებმა გადაიხადეს პანაშვიდი საქართველოს საუკეთესო შვილის სულის მოსახსენებლად.

მომრიგებელი შუამავალი

ნაცვლიშვილი.

ჟურნალისტის დღიური

91.

პატარა მოგონება.

ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ ბ-ნ ისარის წერილმა მომაგონა ერთი ფაქტი ილია ჭავჭავაძის ცხოვრებიდან. მესამე დასელებს ილია ჭავჭავაძე ყოველთვის თავად-აზნაურულ ინტერესების იდეოლოგად, რეაქციონერთა და შავ რაზმელთა მებაირაღტრედ გამოჰყავდათ. მახსოვს ერთი ფაქტი, რომელიც ნათლად ამოწმებს როგორი შავრაზმელიც იყო ილია ჭავჭავაძე.

ეს მაშინ მოხდა, როდესაც აგრარულ მოძრაობით შეშინებული და ფრიად აღელვებული თავად-აზნაურობა ტფილისში ჩამოიკრა. სოფლებში ცხოვრება ეშინოდათ, ისინიც ქალაქში მორბოდნენ და აქ ცდილობდნენ გამოეძებნათ რაიმე თავის დასაცველი საშუალება.

დეპუტატთა საკრებულოში თავად-აზნაურთა თათბირი გაიმართა. გარეშე ხალხიც ბევრი დაესწრო. ყველა აღელვებული იყო. აქა-იქ ისმოდა აღშფოთებულ მემამულეთა მუქარა. სულიერი განწყობილება ისეთი იყო, რომ ადვილად მოსალოდნელი იყო აგრესიული მოქმედება. თავად-აზნაურობის მხრით. სწორედ ამ დროს კარებში ილია ჭავჭავაძე გამოჩნდა. ხალხი შუაზე გაიყო და გზა მისცა პოეტს. ერთბაშად სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ილია თავისებურად დინჯად პირველ რიგისკენ გაემართა და სკამზე ჩამოჯდა. თავმჯდომარემ გამოიწვია ერთი ორატორი, მეორე, მაგრამ ყველამ უარი განაცხადა. მაშინ სიტყვა ითხოვა ილიამ. მთელი დარბაზი სულ განაბული უსმენდა. ილია ლაპარაკობდა დინჯად, მაგრამ დაბეჯითებით და გრძნობით. ზედ მიწევნით მისი სიტყვები აღარ მახსოვს, მაგრამ აზრი კი ასეთი იყო: ჩვენში დღეს ისა ჰხდება, რაც სხვაგან უკვე დიდი ხანია მოჰხდა. საერთო აღშფოთებისა და მოძრაობის დროს ხოცვა-ჟლეტა კი მოსალოდნელია. მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ყოველთვის ასეთი დრო არ იქნება. ქარ-ტეხილი გაივლის, და თქვენ ისევ გლეხებთან პირისპირ მოგიხდებათ ცხოვრება. თქვენ, როგორც უფრო შეგნებულებს, მეტი მოთმინება გმართებთ. მოუფიქრებელ ნაბიჯით ნუ ჩამოაგდებთ საუკუნო სიძულვილს თქვენსა და გლეხებს შორის.

ილია ჭავჭავაძემ კატეგორიულად დაგმო რეპრესიული ზომები და ურჩია თავად-აზნაურობას, დაბრუნებულიყვნენ თავ-თავიანთ სახლში და ხალხთან ერთად გაეწიათ საერთო ჭაპანი.

მახსოვს, რა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამ სიტყვამ დამსწრე საზოგადოებაზე. ვინ იცის, ილია ჭავჭავაძეს მადლიანი სიტყვა რომ თავის დროზე არ წარმოთქმულიყო, იქნება აღშფოთებული თავად-აზნაურობა უფრო უარესს გზას დასდგომოდა და მით ხელი შეეწყო ხოცვა-ჟლეტისათვის.

ვარლამ გელოვანი.

გაზეთ „რეჩ“-ში მოყვანილია შემდეგი ცნობები ქუთაისის გუბერნიიდან არჩეულ დეპუტატის ბ-ნ ვარლამ გელოვანის შესახებ: „გელოვანმა გაათავა გიმნაზია ქუთაისში და უნივერსიტეტი—პეტერბურგში. ვექილობს უკვე ცხრა წელიწადი. 1912 წლამდე ნაფიც ვექილად იყო პეტერბურგის სამოსამართლო პალატაში. იგი შედიოდა იმ ჯგუფში, რომელიც პოლიტიკურ საქმეებს იცავდა. გამოდიოდა უმთავრესად სამხედრო სასამართლოში დიდს პოლიტიკურ პროცესებში, მონაწილეობას იღებდა ვიბორგის პროცესში. იყო ნაფიც ვექილთა თანაშემწეების კომისიის მდივანი და ხელმძღვანელი. პეტერბურგის ვექილებმა იგი ტოლსტოის დასაფლავებაზე წარმომადგენლად აირჩიეს. თავისი პოლიტიკური მრწამსით იგი შრომის ჯგუფს უახლოვდება“.

სხვა და სხვა ამბავი

კადეტების ბანკეტი.

20 ღვინობისთვეს კადეტებმა მოსკოვის დიდ სასტუმროში დიდის ამბით იდღესასწაულეს კადეტების გამარჯვება მოსკოვის არჩევნებში. გამართული იყო ბანკეტი.

პროტესტის დეპეშა.

ჩუდნოვის საურთიერთო ნდობის ამხანაგობის ებრაელთა წევრები კოკოვცევს დეპეშით უკმაყოფილებას უცხადებენ საზოგადოების ინსპექტორის საქციელის გამო, რომელმაც ისინი ამხანაგობიდან სრულიად უმიზეზოდ დაითხოვა.

ბუნინის იუბილე.

28 ღვინობისთვეს მოსკოვში გადაიხდიან ცნობილ რუს გენერალ ბუნინის იუბილეს, 25 წლის სალიტერატურო მოღვაწეობის აღსანიშნავად.

ა. ი. გუჩკოვი.

როგორც ხმა დადის, ოქტომბრისტების გაშავებულ ლიდერს გუჩკოვს იწვევენ ქალაქ მოსკოვის მოურავად.

ბალკანეთის ომი

დეპეშები.

ბულგარეთის მხრით.

სოფია. შინაურ საქმეთა მინისტრმა დაპყრობილ ქალაქებში ახლად დანიშნულ პრეფექტების თანაშემწეებს, დაავალა შეადგინონ მცხოვრებთა სია დროებითი ქალაქის საბჭოს დასაარსებლად. ბულგარეთის სადგილმამულო ბანკმა ამ ალაგებში დაგზავნა თავისი აგენტები. ფოსტა-ტელეგრაფის მთავარმა გამგეობამ თავისი მოხელეები დანიშნა აღებულ ქალაქებში.

სოფია. მოვიდა რუმინიის სასანიტარო რაზმი.

საბერძნეთის მხრივ

ათინა. პრევეზის ბრძოლაში შეპყრობილნი ტყვენი მოიყვანეს, 812 ჯარის-კაცია და 52 ოფიცერი. ბრძოლის ველზე გაემგზავრა რაზმი გარიბალდის სარდლობით.

ათინა. მემკვიდრე სალონიკში შევიდა. სალონიკშივე გაემგზავრა მეფე. სალონიკის აღების ცნობამ დიდი სიხარული გამოიწვია ათინაში. ქალაქი გაჩირაღდნებულია.

ათინა. სალონიკის უფროსმა სთხოვა მემკვიდრეს ქალაქიდან ოსმალეთის ჯარის გაყვანის ნება მისცეს. მემკვიდრემ უარი შეუთვალა და სალონიკი აიღო. გარნიზონში, 15.000 კაცი ტყვედ შეიპყრო [სალონიკის უფროსს თავი მოუკლავს.

ჩერნოგორიის მხრივ.

ცეტინიე. მდინარე ბოიანის ხეობაში დაჟინებული წვიმებია, წყალდიდობის გამო გენერალ მარტინოვიჩმა ალეოსკენ დაიწია. ოსმალები ეცადნენ იერიშით მისულიყვნენ ჩერნოგორელებზე, მაგრამ უკუქცეულნი იყვნენ. ცეტინიეში თოვლი მოვიდა.

ოსმალეთი.

სტამბოლი. მინისტრთა საბჭოს სხდომა „პროგრესის“ კომიტეტის ხელმძღვანელებით მოითხოვენ ომის გაგრძელებას და უკიდურეს წინააღმდეგობას. ხმებია, ვითომც ქიამილ-ფაშა თანამდებობას თავს ანებებსო.

სტამბოლი. ნურადუნგიანმა პორტაში მოიწვია ელჩები, ომის ვითარება აუხსნა, დ დამშვიდა, რომ მთავრობა ყოველ ღონეს იღონებს არეულობის თავიდან ასაცდენადო. სხდომას დაესწრო ქიამილ-ფაშა, სამხედრო სამინისტრომ და მთავარმა შტაბმა ბანკეტი გამართეს. დედეაგაჩის მახლობლად ბერძნებს, და ოსმალებს შორის შეტაკება მოხდა. არის რამდენიმე დაჭრილი და მოკლული.

სტამბოლი. მონასტრის უფროსი პორტას დეპეშით ატყობინებს, რომ ოსმალებმა 7 ზარბაზანი ხელთიგდესო. კიჩევთან ბრძოლის დროს ოსმალებს გაუნადგურებიათ სერბიის ცხენოსანთა რაზმი.

სტამბოლი. მოვიდა საფრანგეთის გემი „გამბეტა“

მახმედ-შეფქეტ-ფაშა აღმოსავლეთ არმიის გენერლად დაინიშნა.

გაზეთებიდან.

ბულგარეთის მხრით.

„რეიხშპოტს“ ატყობინებენ: თუმცა ისევ გრძელდება დევნა გაქცეულ ოსმალოს ჯარისა, მაგრამ ბულგარელთა ლაშქარს დასვენება ეჭირვება. ჩატალჯის იერიში იქით კვირას დაიწყება, ახლა კი უმთავრესი ყურადღება მიქცეულია ადრიანოპოლის ციხეზე, რომლის აღების შემდეგ ბულგარებს შეძლება მიეცე მათ ჯარი და საციხოვნო მძიმე არტილერია მიაშველონ ჩატალჯის წინააღმდეგ მოქმედ ჯარს, ადრიანოპოლი დღითი დღე სუსტდება, სიმაგრეები ძალზე დაზიანებულია.

ოსმალთა დანაკლისი.

სტამბოლიდან იუწყებიან, რომ ჩორლუ-ჩატალჯის შუა, 20 ოქტომბრის ბრძოლაში, ოსმალებმა დაჰკარგეს 20.000 კაცი.

ზარბაზნების ხმა სტამბოლში ისმის.

იქიდანვე იტყობინებიან, რომ 21 ოქტომბერს ღამით, სტამბოლიდან 20 ვერსის მანძილზე, ისმოდა ზარბაზნების საშინელი ხმა.

ბულგარების დამხმარენი.

ჩატალჯასთან ბულგარელებს შეუერთდება საბერძნეთის ჯარი, რომელიც დედე-აგაჩთან გადმოვიდა ნაპირს. იგინი ერთად გასწევენ სტამბოლისაკენ. ადრიანოპოლისკენ მიდის 45.000 სერბიის ჯარი ბულგარების დასახმარებლად. არტილერია და საპიორთა რაზმები უკვე შეუერთდა მათ.

ბულგარების ახალი ჯარი.

მთავრობა ახალ ჯარს ადგენს უკანასკნელ რიგის სათადარიგოთა და მოხალისეთაგან, რომელიც აღმოსავლეთის ჯარის დასახმარებლად გაიგზავნება.

სერბიის მხრით.

ჯარის მოძრაობა.

სერბიის ცხენოსანი ჯარი ქ. მონასტერის ახლოს გამოჩნდა. ქვეითა ჯარმა აიღო პრილეპი და ბიტოლიისკენ მიიწევს, სადაც სამხრეთიდან მოეშურება საბერძნეთის ჯარი.

ოსმალთა ზარალი.

ოსმალთა ჯარისაგან, რომელიც სერბიელების წინააღმდეგ მოქმედებდა, მხოლოდ 30.000 კაცი გადარჩა და იგინიც დაქსაქსულები არიან; ერთი რაზმი დასავლეთისკენ გაიქცა, მეორე სალონიკისკენ.

საბერძნეთის მხრით.

ქ. ენიჯეს აღება.

კოჟანიდან იტყობინებიან: მტრის ძლიერი რაზმი მუსულმანთა წმინდა ქალაქ ენიჯეში გამაგრდა, რომელიც სალონიკის დასავლეთით მდებარეობს, და საშინელი წინააღმდეგობას უწევს ბერძნებს. ორი დღის სასტიკ ბრძოლის შემდეგ, ბერძნებმა ქალაქი აიღეს, ოსმალებმა სალონიკისკენ დაიხიეს.

დედე-აგაჩს ზარბაზანს უშენენ.

ქ. დედე-აგაჩს, რომელიც სალონიკის ყურეში მდებარეობს, საბერძნეთის ფლოტი ზარბაზანს უშენს.

ქ. პრევეზის აღება.

გენ. საპუნზაკისი იტყობინება: ბერძენთა იმ რაზმში, რომელიც პრევეზის (ალბანეთის ნავთსადგური) ასაღებად იბრძოდა, გაწრთვნილ ჯარის გარდა, კრიტელი მოხალისენი და ეპირის შეიარაღებული მცხოვრებნიც იყვნენ. ბრძოლა მთელ დღეს გაგრძელდა. ის იყო ბერძნები იერიშით უნდა მისულიყვნენ, რომ რუსეთისა, ავსტრიისა და ინგლისის კონსულები პრევეზის გუბერნატორისა და მცხოვრებთა წარმომადგენლების თანხლებით გამოცხადნენ და წინადადება მოგვცეს, ქალაქს თავი დაანებეთო. საბერძნეთის ჯარი ქალაქში შევიდა. ოსმალთა ოფიცრებს იარაღი შეარჩინეს.

ჩერნოგორიის მხრით

სკუტარის ალყას სავსებით განხორციელების ადგილ-მდებარეობა ხელს უშლის. მდინარეები ძალზე ადიდდა, ისე რომ, ჩერნოგორელებს ჭაობებში უხდებათ მოქმედება. ამის მიუხედავად მაინც მოახერხეს მდ. ბოიანსა და გრინზე ხიდების გადება ტარაბოშის მთასა და ბრადიცას ახლოს კვლავ გაცხარებული ბრძოლაა.

გენ. ვუკოტიჩი.

გენ. ვუკოტიჩის ჯარის მარჯვენა ფრთამ, 20 ოქტომბერს, დეჩანის სიმაღლე აიღო, საიდანაც ზარბაზანს უშენს ქ. სკუტარის. ამ დღესვე იპეკს მოვიდა სერბიის ცხენოსან ჯარის მფრინავი რაზმი, რომელიც დიაკოვიცისკენ გაეშურა.

სან-ჯიოვანისკენ.

გენ. მარტინოვიჩის რაზმმა, რომელიც მდ. ბოიანის მარცხენა ნაპირზე მოქმედობს, აიღო კუ-ლი, 12 ვერსის მანძილზე ნავთსადგურ ალესიოდან (ალბანეთშია). ჩერნოგორელების მომხრე არნაუტელები თხოულობენ: ნება მოგვეცით ალესიოზე იერიშით მივიდეთო.

რა შთაბეჭდილება მოახდინა კირკილესეს აღებამ სტამბოლის მცხოვრებლებზე?

სტამბოლის კორესპოდენტი „ფოსიშე ცაიტუნგს“ ატყობინებს, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა სტამბოლის მცხოვრებლებზე კირკკილისეს დაკარგვამ. „სტამბოლში, იწერება კორესპოდენტი, ხალხი თავზარ დაცემული და სასოწარკვეთილია. ადრიანოპოლიდან და კირკილესიდან გამოქცეული ხალხი ქუჩებში ირევა. ამ ხალხს მთელი ქონება დაეღუპა, ცარიელ-ტარიელნი სტამბოლის ქუჩებზე ჰპოვებენ ბინასო. საკმარისია ამ ხალხის დანახვა, რომ დარწმუნდეს კაცი ოსმალეთის ოდესღაც ძლევა მოსილი ჯარის უმწეო მდგომარეობაში. გამარჯვების იმედი სრულიად არ არის. ხალხი თითქოს დღე-დღეზე მოელის მტერს სტამბოლის კართან. ხალხი დაჯერებულია, რომ ჯარი მედგრად და თავგანწირულად იბრძვის: დამარცხების დამნაშავედ ჯარის უფროსებს და წინამძღოლებს სთვლის, რომელთაც რამდენიმე ყოვლად შეუწყნარებელი შეცდომა ჩაიდინეს. ერთხმად ამტყუვნებენ დივიზიის უფროსს აზის-ფაშას, რადგანაც უფროსის ბრძანებას არ დაემორჩილა და საწინააღმდეგო საქმე ჩაიდინა.

ხმებია, ვითომც სამხედრო, სასამართლოს განაჩენით აზის-ფაშა დახვრიტესო. სამართალშია აგრეთვე მიცემული მახმუდ-მუხტარ-ფაშა.

უიმედობა და სასოწარკვეთილებას დაუსადგურნია ოსმალთა გულშიო, აბოლოვებს კორესპოდენტი“.

(რუსკ. ვედ.)

ბალკანეთი და ევროპა

დეპეშები.

ბუდაპეშტი. ავსტრიის გარეშე საქმეთა დელეგაციის კომისია. გერმანელი დეპუტატი ლანგენგანი ამბობს, რომ ავსტრიის ინტერესები უნდა დაცული იყოს ადრიატის ზღვაზეო. ამისთვის საჭიროაო, სერბიამ იცოდეს, რომ ალბანეთი მის გავლენის სფერაში არ იქნება მოყოლილიო. კრამარჟი მოითხოვს ბალკანეთის სახელმწიფო ერთხელ და სამუდამოდ გადასწყდესო. ალბანეთი უნდა განაწილდეს ჩერნოგორიისა, სერბიის და საბერძნეთის შუაო. რუმინიას ომის საკითხში კეთილ-სასურველი პოზიცია ეჭირაო. იმედია ბალკანეთის სახელმწიფოთა კავშირი დააფასებს რუმინიის საქციელს, თუ რუმინიამ თავისი მოთხოვნილებით არ გადაამეტა. ამის იმედი კი არ აქვს კრამარჟს გონიერ რუმინიისაგან. კრამარჟის აზრით, სტამბოლი აღარ უნდა დარჩეს ოსმალთა ძალების შემაერთებელ პუნქტად. კრამარჟი არ ეთანხმება ბერნრეიტერის პროექტსა ბალკანეთის სახელმწიფოთა ზოგიერთ რკინის გზის ინტერნაციონალიზაციის თაობაზე.

ბუდაპეშტი. ავსტრიის დელეგაციის სამხედრო კომისია. საზღვაო ჯარის მთავარ სარდალმა მონტეკუკულმა განაცხადა, რომ საჭიროა ეხლავე შევუდგეთ მზადებასაო. ტრაგედია, ეხლა რომ ხდება მეზობელ ქვეყნებში, ამას გვიკარნახებსო.

ავსტრიის დელეგაციის კომისიაში ვოლფმა, გერმანელმა რადიკალმა სთქვა, ოსმალეთის დამხობა და ძლიერ სლავიანთა სახელმწიფოს მოვლინება გერმანიისთვის ფრიად უსიამოვნო არისო. შევეგელიც წინააღმდეგია ალბანეთის დანაწილებისა.

რომი. ოფიციალი წყაროებიდან იტყობინებიან, რომ ავსტრიას იტალიისთვის შეუთვლია, სერბიის გამოსვლას ადრიატის ზღვაზე წინააღმდეგობას გავუწევთო.

ოფიციალი გაზეთი „ტრიბუნა“ სიამოვნებით ეგებება პუანკარეს ფორმულას და ჰკვირობს, რამ აიძულა ავსტრია ამ ფორმულის წინააღმდეგ რომ გაილაშქრაო.

ბერლინი. ვოლფის სააგენტო გვატყობინებს: სან-ჯულიანოსთან მოლაპარაკებამ ნათელ-ჰყო იტალიის და გერმანიის ერთსულოვნება ბალკანეთის საკითხშიო.

ვენა. ალბანიის ბელადი იზმაილ-ქემალი ებაასა „ნეი-ფრეი-პრესეს“ თანამშრომელს. იმანა სთქვა, რომ ბალკანეთის სახელმწიფონი დიდ ცოდოს ჩაიდენენ, თუ ჩვენით გაძლიერდებიანო. თუ ოსმალეთის პროვინციები, სლავიანელებმა რომ დაიპყრეს დამოუკიდებელნი იქნებიანო, ჩვენ დამოუკიდებელ მართვა-გამგეობას მოვთხოვთო. სერბიასთან ჩვენ მხოლოდ კეთილი განწყობილება გვსურსო.

ლონდონი. როგორც რეიტერს ატყობინებენ, ბულგარები ომის დასრულების შემდეგ სტამბოლში არ დარჩებიანო.

ლონდონი. სოფიიდან რეიტერს ატყობინებენ, რომ ბულგარებმა ჩატალჯის რაიონი აიღესო. ოფიციალურად ჯერ დადასტურებელი არ არის.

გაზეთებიდან.

სახელმწიფოების სამხედრო ფლოტი სტამბოლში

ავსტრია.

ხმელთაშუა ზღვის ესკადრის პირველი დივიზიონი: სამი ჯავშნოსანი, ერთი ჯავშნიანი კრეისერი და ორი კონტრ-ნაღმოსანი, სტამბოლისკენ წავიდა ავსტრიის ქვეშევრდომთა დასაცავად.

გერმანია.

ხმელთაშუა ზღვაში მყოფი სამ კრეისერს: გერტას, ვინეტას და გეიერს ებრძანა სტამბოლისკენ წასვლა გერმანელთა დასაცავად. კილის ნავთსადგურიდან იქითკენ მიდის კიდევ ორი კრეისერი.

ინგლისი

ინგლისის ფლოტის ორ ესკადრას, რომელშიაც შედიან ჯავშნიანი კრეისერები: ბარგემი, ვეიმუსი და მედეა, კონტრ-ნაღმოსანთა მე 7 და მე 5 ფლოტილია, უმავთულო ტელეგრაფით ებრძანა სტამბოლს წასვლა.

საფრანგეთი.

ხმელთაშუა ზღვის ესკადრა, შვიდი სამხედრო გემისაგან შემდგარი, ტულონიდან სტამბოლს წავიდა საფრანგეთის ქვეშევრდომთა დასაცავად.

რუსეთი.

რუსეთის სამი ჯავშნოსანი: „იოანე ოქროპირი“ პანტელეიმონი“ და „როსტისლავი“ სატამბოლისკენ წავიდა

ჰოლანდია.

სტამბოლში იგზავნება ორი ჯავშნოსანი: კორტონერი და გელდერლანდი.

ოსმალეთის თხოვნა.

ბერლინიდან იუწყებიან; ოსმალეთის მთავრობამ დიდ სახელმწიფოებს მიმართა თხოვნით, რათა იგინი ომში ჩაერიონ, მოახდინონ დროებით ზავი და იხსნან სტამბოლი მოკავშირეთა ჯარის განადგურებისაგან.

სახელმწიფოების პასუხი

საფრანგეთის მინისტრ-პრეზიდენტმა პუანკარემ ოსმალეთის მთავრობას აცნობა, რომ სახელმწიფოები იმ შემთხვევაში იკისრებენ შუამდგომლობას, თუ ოსმალეთი გარკვევით იტყვის, რას უთმობს იგი მოკავშირეებს.

საფრანგეთის პრესის აზრით, სახელმწიფოების შუამდგომლობა დაგვიანებულად უნდა ჩაითვალოს, რადგან მოკავშირეებმა აშკარად განაცხადეს, რომ ზავის შესახებ მოლაპარაკებას იგი პირდაპირ ოსმალეთთან დაიწყებენ. ამას გარდა, სამთა კავშირისა (გერმანია, ავსტრია და იტალია) და სამთა შეთანხმების (ინგლისი, საფრანგეთი და რუსეთი) სახელმწიფოთა შორის ამ ჟამად უთანხმოებაა და ახლო ხანში არც შეიძლება მათი მორიგება.

რუსეთის დიპლომატიის აზრი.

რუსეთის დიპლომატიის აზრით, სახელმწიფოებს გადაუწყვეტიათ მოერიდონ ჯერ-ჯერობით რაიმე ძალდატანებას მოკავშირეებზე. სახელმწიფოები არა თუ წინააღმდეგობას არ გაუწევენ ბულგარებს სტამბოლზე გალაშქრების დროს, არამედ თანახმა არიან; რომ მოკავშირეთა ჯარმა დროებით დაიჭიროს ოსმალთა სატახტო ქალაქი.

ავსტრიის და პუანკარეს წინადადება.

გაზ. „ცეიტ[illegible]“ [illegible] ჰტოლდმა აცნობა საფრანგეთის მთავრობის, [illegible] პუანკარეს წინადადებას, რადგან ახლანდელ მომენტს შესაფერისად ვერ სთვლის. მიუხედავად ამისა, რადგანაც ავსტრიას უკვე ყველასაგან ცნობილი ინტერესები აქვს ბალკანეთზე, იგი მედგრად დაიცავს მათ იმ შემთხვევაშიც, თუ ომში ჩარევა მაინც მოხდება.

ამ რიგად ავსტრიამ პასუხი არ გასცა პუანკარესაგან პირ და პირ დასმულ კითხვას: ჰსურს თუ არა ავსტრიას ტერიტორიის შეძენა ბალკანეთზე.

გერმანიის მწუხარება.

ავსტრიის მიერ პუანკარეს წინადადების უარყოფამ, ბერლინში მეტად ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა, რადგან ეს ამბავი მომავალ მდგომარეობის გართულების მომასწავებლად მიაჩნია. ეშინიათ, რომ რუსეთი მუქარად ჩასთვლის ავსტრიის საქციელს და მობილიზაციას გამოაცხადებსო. გერმანია სცდილობს შეტაკების თავიდან აცილებას და ავსტრიას ურჩევს,—დათანხმდი საფრანგეთის შუამდგომლობაზეო.

ახალი წინადადება.

ვენიდან იუწყებიან: რადგან შეელი წინადადება უარჰყო სამთა კავშირმა, პუანკარე ახალ წინადადებას ამზადებს, რომელიც დააკმაყოფილებს, როგორც სამთა კავშირს, ისე ბალკანეთის სახელმწიფოებსაო.

ისტორიული თათბირი.

„ცეიტი“ სწერს: მეფე ფრანც-იოსების თავმჯდომარეობით მოხდა ისტორიული თათბირი, რომელსაც დაესწრნენ: ტახტის მემკვიდრე ჰერც ჰერცოგი ფერდინანდი, სამხედრო მინისტრი აუფენბერგი და გრაფი ბერჰტოლდი. ტახტის მემკვიდრე იმ აზრით მივიდა თათბირზე, რომ მინისტრთა დახმარებით დაემტკიცებინა მეფისთვის მობილიზაციის აუცილებელი საჭიროება. თათბირმა მღელვარე ხასიათი მიიღო. იმპერატორი ისეთის მაღალი ხმითა და აღელვებით ლაპარაკობდა, რომ ზოგიერთი სიტყვა მეორე ოთახში ისმოდა. მან გადაჭრით უარჰყო მემკვიდრის მისწრაფება და, როდესაც ჰერც-ჰერცოგი დაჟინებით მაინც თავისას დაადგა, ფრანც-იოსებმა განაცხადა:

— მაშ, გამოაცხადეთ მობილიზაცია, მაგრამ ჯერ მე გადავდგები ტახტიდანაო!

ამ განცხადების შემდეგ მთავარმა შტაბმა შეაჩერა მობილიზაციისთვის დაწყებული სამზადისი და ავსტრიის დიპლომატიამაც კილო იცვალა.

ბულგარეთის აზრი ზავის შესახებ.

ბულგარეთის ოფიციოზი „მირ“-ი სწერს: მოკავშირეებსაც ჰსურთ ზავის ჩამოგდება, მაგრამ ჯერ ამის დრო არ დამდგარა. მოკავშირეთა ჯარს ჯერ არ გადაუწყვეტია, თუ საიდან მიიღებენ იგინი პასუხს მოკავშირეთა მიერ კოლექტიურად წარდგენილ ნოტაზე, რომელიც ომის დაწყებამდე ოსმალეთმა მედიდურად უარჰყო. როდესაც დადგება დრო, ოსმალეთმა პირდაპირ მოკავშირეებს უნდა სთხოვოს ზავის ჩამოგდება, ისე როგორც იტალიის ომის დროს მოიქცა. ოსმალეთმა უნდა გაიგოს, რომ დადგა ახალი ხანა მოკავშირეთა და მის დამოკიდებულებათა შორის. მოკავშირეთა ბრწყინვალე გამარჯვებამ ახალი მდგომარეობა და დაურღვეველი უფლება შეჰქმნა. აბა გაჰბედოს, ვისაც ჰსურდეს, წარსულის აღდგენა. ამის განსახორციელებლად ჯერ ჩვენ სამარეს უნდა გადააბიჯონ.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

საზღვარ-გარედ

27 ოქტომბერი.

ბერლინი. იტალიის მეფემ გულითადი მადლობა გამოუცხადა გერმანიის მეფეს სან-ჯულიანოს კარგ დახვედრისათვის.

ნიუ-იორკი. ვილსონმა ამომრჩევლის 48 ხმა მიიღო.

რუსეთი

არჩევნები.

ტამბოვი. აირჩიეს მემარჯ. ოხლიაბინინი, კადეტი ვაკარი.

ნოვოჩერკასკი. აირჩიეს კადეტი ვორონკოვი, ოქტომბრისტი ლოგვინოვი.

ჩერნიგოვი. აირჩიეს ნაციონალისტი, მარკოვიჩი, როზენბახი, ოქტომბრ. სკოროპადსკი, ზომიერი კრინსკი, ოქტომბრ. რაკოვიჩი.

ორენბურგი. აირჩიეს მემარჯ. კუდრიავცევი, პროგრ. გროდზიცკი,

ენიკეევი, მემარჯ. კანამოვი, მემარჯ. მღვ. ევლანოვი.

მოსკოვი. აირჩიეს: მემარჯ. პეტროვი, კადეტი კაპტერევი სოციალ-დემოკრატი მალინოვსკი, მემარჯ. მუსინ-პუშკინი.

კოვნა. აირჩიეს: კადეტი ფრიდმანი, შრომის ჯგუფელი შუშკევიჩი, ნაციონალისტი იჩარი.

ოდესა. მეორე კურიაში აირჩიეს მემარჯვენე, ეპისკოპოზი ანატოლი.

ტამბოვი. აირჩიეს: უპარტიო თავადი ვოლკონსკი, მემარჯ. ლაჩინოვი

ლიუბლინი. აირჩიეს დეკანოზი ბუდილოვიჩი, ნაციონალისტი.

ტვერი. აირჩიეს: პასკინი ნაციონალისტი, ოქტომბრისტი ლოლქენსკი, პროგრესისტი გრონსკი.

სამარა. აირჩიეს: კანეტიგლადიში, მემარჯვენე ნაუმოვი, პროგრესისტი პოდზნიაკოვი, ზომიერი სიდოროვი.

ვარშავა. აირჩიეს სოციალისტი მუშა იაგულო.

ოდესა. აირჩიეს მემარჯვნე ლევაშოვი, უნივერსიტეტის ლექტორი.

პეტერბურგი. პირველ კურიაში აირჩიეს: პროგრესისტი ბარიშნიკოვი კადეტი ველისოვი, პროგრესისტი კლუგინი: გააშავეს ყოფილი დეპუტატები ანრეპი, ლერხე და სონოვიჩი.

გუჩკოვის წასვლა

პეტერბურგი. ა. გუჩკოვი წავიდა ბელგრადში „წითელ ჯვრის“ რწმუნებულად.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. დღეს, 28 ღვინობისთვეს, ქართული დრამატიული დასი წარმოადგენს (მესმედ ამ სეზონში) **სოფოკლესის** ცნობილ ტრაგედიას—**„ანტიგონეს“**, თარგმანი გ. გვაზავასი. მონაწილეობას იღებენ ხორო და ორკესტრი „ახალი კლუბისა“ ნ. ქართველიშვილის ლოტბარობით. წარმოდგენის დაწყებამდე გ. გვაზავა წაიკითხავს მოხსენებას: „ძველი საბერძნეთის თეატრი“. ტრაგედიასა სდგავს კონსტ. ანდრონიკაშვილი.

ავლაბრის თეატრი. ილიას საღამო. დღეს, 28 ოქტომბერს, ავლაბრის ძურაშკოსეულს თეატრში დანიშნულია „ილიას საღამო“. პროგრამა საყურადღებოდ არის შედგენილი. წარმოდგენილ იქნება, ი. ივანიძის ორ მოქმედებიანი პიესა „დამონებულნი“, სალიტერატურო განყოფილებით. აგრეთვე შესდგება **გასამართლება მეფე „დიმიტრი თავდადებულისა“** მსაჯულებს დამსწრე საზოგადოება აირჩევს. ბ-ნ ვასო მათურელის ლოტბარობით ქართველ მომღერალთ გუნდი, ეროვნულ სიმღერებს შეასრულებს. დასაწყისში ნაჩვენები იქნება ცოცხალი სურათი დიდებული მგოსანი, მის მიერ შექმნილ ტიპებთა შორის. ამ საღამოს სდგავს დასის რეჟისორი ი. ივანიძე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

სახაზინო თეატრი. დღეს დილით საოპერო დასი ბ-ნ ივ. ა. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით დასდგავს ოპერას **„ევგენი ონეგინ“**. საღამოთი კი დაიდგმება ოპერა **„ციგანსკი ბარონი“**.

29 ღვინობისთვეს (ორშაბათს) მესამე სავაჟო გიმნაზიის ღარიბ მოწაფეების სასარგებლოდ დასდგავენ ოპერას **„გუგენოტები“**

ქუთაისი. დღეს ქუთათური დრამ. დასი მხიარულ კომედიას წარმოადგენს—„გათავისუფლებული მონები.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 პ. **ფომინა-ოსიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

0, 11—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

მატარებელთა მიმოსვლა

(ზამთრობით).

15 ოქტომბრიდან.

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის

ბაქოსაკენ: სამგზ.-საბარგო № 8, საღ. 7 ს. 26 წ. **ჩქარი** № 2, დილ. 10 ს. 14 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 36 წ. **სამგზავ.** № 6, ნაშუადღ. 6 ს. 31 წ. **ნარევი** № 106. საღ. 7 ს. 20 წ.

ბათომისაკენ: სახ. №№ 107, დილ. 4 ს 38 წ. **სახ.** № 5, ნაშ 4 ს. 38 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 50 წ. **სახ.** № 4, საღ 9 ს 4 წ. **სახ.** № 11, ღამ. 10 ს. 2 წ

ბაქოსკენ: ნარევ. № 106, საღ. 7 ს. 26 წ.

ერევანისკენ: სახ.-საბ. № 8/7, შუადღ. 1 ს. 6 წ.

ჯულფისკენ: საფ № 4/3, ღამ. 1 ს. 11 წ.

ყარსისკენ: სახ.-საბ. № 6/5, საღ. 8 ს. 10 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 9/10 б, ნაშ. 3 ს. 17 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან. ნარევ. № 107, ღამ. 3 ს. 8 წ. **სახ** № 5, ნაშ. 3 ს. 46 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. **ჩქარ.** № 1, საღ. 9 ს. 10 წ. **სახ.-საბ.** № 7, დილ 11 ს. 55 წ.

ბათომიდან: სახ. № 12, დილ. 8 ს. 50 წ. **საფ.** № 4, ღამ. 11 ს. 32 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 56 წ. **ნარევ.** № 106, დილ. 5 ს. 15 წ.

ერევნიდან: სახ.-საბ. № 8/7, ღამ. 5 ს 28 წ.

ყარსიდან: სახ.-საბ. № 65, ნაშ. 1 ს. 28 წ.

ჯულფიდან: სახ. № 43, დილ. 8 ს.

ბორჯომიდან: სახალ. № 9/10 б, დილ. 11 ს. 27 წ.

მიხაილოვ.-დან სურამში: სახ.-საბარგ. № 61, ღამ. 2 ს. 18 წ. **სახ.-საბ** № 63, დილ. 5 ს. 30 წ. **სახ.-საბ** № 65, ნაშ. 12 ს. 48 წ. **სახ.-საბ.** № 67, ნაშ. 3 ს. 13 წ. **სახ.-საბ.** № 69, საღ. 7 ს. 53 წ. **სახ.-საბ** № 71, საღ. 9 ს. 20 წ.

სურამ.-დან მიხაილოვში: სახ.-საბარ. № 60, ღამ. 1 ს. 22 წ. **სახ.-საბ.** № 62, დილ 4 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 64, დილ. 7 ს. 8 წ. **სახ.-საბ.** № 66, ნაშ. 1 ს. 15 წ. **სახ.-საბ.** № 68, საღ. 6 ს. 38 წ. **სახ .საბ.** № 70, საღ. 8 ს. 26 წ.

ქუთაისიდან რიონში: სახ. № 77, დილ, 5 ს. 28 წ. **სახ.** № 79, დილ. 10 ს. 14 წ. **სახ.** № 81, ნაშ. 2 ს. 3 წ. **სახ.** № 83, ნაშ. 5 ს 48 წ. **სახ.** № 85, ღამ. 11 ს. 58 წ.

რიონიდან ქუთაისს: სახ. № 76, დილ. 5 ს. 25 წ. **სახ.** № 78, დილ. 11 ს. 2 წ. **სახალ.** № 80, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ,** 82, საღ. 6 ს. 55 წ. **სახ.** № 84, ღამ. 1 ს. 58 წ.

ქუთაისიდან შორაპანს: სახალხო № 29/30, ნაშ. 5 ს. 23 წ.

შორაპნიდან ქუთაისს სახ. № 27/28, დილ. 8 ს. 30 წ.

ფოთიდან სამტრედ. და ქუთაისს: სახ. № 26, დილ. 6 ს. 6 წ. **სახ.** № 4 п, დილ. 11 ს. 9 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 1 წ **სახ.** № 8 п, საღამ. 9 ს. 10 წ.

სამტრედიიდან ფოთში; სახ. № 3 п, შუადღ. 1 ს. 57 წ. **სახ.** № 7 п. საღ. 7 ს. 24 წ. **სახ.** № 5 п, საღ. 7 ს. 59 წ. **სახ.** № 25 п, ნაშ. 6 ს. 8 წ.

ბათომ.-დან ქობულეთსა და ნატანებში: სახ. № 18, ღამ. 1 ს. 13 ს. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **საფ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ქობულეთ.-დან ბათომს: სახ. № 13, დილ. 7 ს. 4 წ. **სახ.** № 15, ღამ. 12 ს. 23 წ. **სახალხ.** № 17, ნაშ. 5 ს. 47 წ.

ნატანებიდან ბათომს: სახ № 17, ნაშუად. 5 ს. 20 წ.

ბათუმიდან ქობულეთში. სახ. № 18, ღამ. 1 ს. 13 წ. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **სახ.** № 16, ნაშ. 2 ს 58 წ.

ბათომიდან ნატანებს: სახ. № 16, ნაშუადღ. 4 ს. 24 წ.

მიხაილოვ.-დან ბორჯომს. სახ. № 46, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 65, საღ. 9 ს. 14 წ. **სახ.** № 86, დილ. 5 ს. 25 წ.

ბორჯომ.-დან მიხაილოვში: სახ. № 36, ნაშ. 12 ს. 35 წ. **სახ.** № 55, დილ. 5 ს. 58 წ. **სახ.** № 76, ღამ. 12 ს. 41 წ.

პირდაპირი მიმოსვლა გადაუჯდომლად.

1) **ბათომიდან პეტერბურგამდე** გაივლის ნიკიტოვკას, კურსკს, მოსკოვს, არის ერთი მიქსტო-ვაგონი I—II კლასისა და I—მესამე კლასის, მატარებლების №№ 1/11 და 2/12 ყველა ბილეთები პლაცკარტებით.

2) **ბათომიდან მოსკოვამდე.** გაივლის კოზლოვს და რიაზანს; 1 ვაგონი პირვ. კლასისა, 1 მეორისა და 3—მესამისა, მატარებლების №№ 5 და 6. I და II კლასი და მესამე კლასის ერთ ვაგონში ბილეთები პლაცკარტითაა, ხოლო მესამე კლასის ორ ვაგონში უპლაცკარტოდ.

3) **ტფილისიდან როსტოვამდე** ერთი ვაგონი I/II კლასისა, ერთიც მესამე კლასისა, მატარებელთა ნომრები 1 და 2.

4) **ტფილისიდან ჯულფა-ერევნისკენ,** ერთი ვაგონი I/II კლ. და ერთიც მე-III კლას. მატარებლის ნომრები 3 და 4.

განცხადებანი

სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის კიმში, № 34, ფელდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწდომ ფასში, დღე-ღამეში 1 მან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და ქალახლეებს ყოველ დღე, დილის 1—12 ს.-მდე) მოწმებს. თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ. მიკირტუმოვი.** 1037.

◆ გამოსულია და იყიდება ◆

ნ. შიუკაშვილის

პიესა **„მეგობრობა“**, დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

ტფილისის ქალაქის გამგეობისაგან

მიმდინარე წლის ნოემბრის ორში, შუადღის 12 საათზე, დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ავლაბრის აგარაკში მდებარე 10 დესეტინა და 1200 ოთხ.-კ. საჟ. საქალაქო, **გაჯის საწვავ ადგილის იჯარით გასაცემად.**

ამ ადგილის გეგმისა და საიჯარო პირობების ნახვა შეიძლება მუდამ დღე, კვირა-უქმის გარდა, ქალაქის გამგეობის მე-4 განყოფილების საიჯარო ნაწილში. 1550.

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მიმდინარე წლის 5 ნოემბერს შუადღის 12 საათზე დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ვერის დაღმართზე, რეიტერის სახლის გასწვრივ, ვერის მოედნის პირდაპირ მდებარ **საქალაქო მიწის**

იჯარით გასაცემად, რათა აიგოს საიჯარო სახლი.

პირობების გაგება და გადაშინჯვა შეიძლება, კვირა უქმის გარდა, ყოველ დღე საქმის დროს ტფ. ქალაქის გამგეობის საიჯარო განყოფილების მე-4 ნაწილში, 1550

1912 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადულ“-ზე

◆ **წელიწადი მერვე.** ◆

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 **წიგნი** „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის; 12 **წიგნი** „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს

დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინალური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.

ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Готовинскій просп. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის“ აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილიასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში** ბ. ამბოკაძესთან და **ერევანში** კ. ოდიშარიასთან. **ყარსში**—ფერშალ ვანო საათაშვილთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**

წ.—1393—წ. გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**

სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა
მუდმივის საწოლებით.

გადავიდა ახალ ბინაზე

მიხეილის ქუჩა, № 49 და რეუტოვის მისახვევი № 2. ტელეფონი № 1026.

ავადმყოფებს იღებენ:

ალაჯანოვი მიხ.—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—ნაშუად. 12—1 ს.

ვნუკოვი მ. პ.—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.

ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგან, ნევრვებისა სულით-ავადმყ. ელექტროტერაპატია დილ. 11—12 საათამდე.

კიმონტი გ. პ.—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

მაგაკიანი გ. ნ.—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ სათ.

შამაში ი. ი.—ქირურგიულ ავადმყ. 12—1 საათამდე.

ავილოვაია ა. ა.—კბილის ავადმყ. 9½—11½ საათ.

სამკურნალოში სწამლობენ ელექტრონითა და მასაჟით. ახდენენ გამოკვლევას მიკროსკოპიულ, ბაქტერიოლოგიურსა და ქიმიურს. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი ათი შაური. ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით.

სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებისაგან.

წამლობა „606“-ით და 914. 1513

ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დილით:

„606“—11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. აგახაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. მ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინ. კანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელ ქიბანი** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

საღამოთი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
1078 დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

ქირავდება სარდაფი

85 ოთხკუთხი საჟენი, ღვინის სავაჭროდ ან საქონლისა და მასალების საწყობად, **თათრის მოედნის მახლობლად,** პატარა სირაჩხანაში, № 13. ჰკითხეთ მეეზოვეს ალბერტს. 727.

ქართულ ენაზე ჭრა-კერვის წიგნი

თვით-მასწავლებელი 128 ნახატით, ახალი მეთოდი. ექვსი ნაწილი: ქართული, იმერული, ევროპიული, თეთრეული მანდილოსანთ და ბავშვთათვის. ჟურნალების მოხმარება შედგენილი და გამოც. **სოფიო ი. სიმონოვის მიერ.** ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მან. 50 კ. ვინც ათზე მეტს იყიდის ფოსტის გასაგზავნი არ გადახდება. წიგნის გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც.

მისამართი; Телавъ, школа кройки и шитья Соф. Іос. Симоновой. Бульварныя пер., 2, соб. д. 1231

არ გაგონილა! მხოლოდ 2 მან. 95 კაპ.

ვგზავნით ქვემოდ ჩამოთვლილ 14 ძვირფას ნივთს: 1. მშვენიერ მკვიდრ ჯიბის საათს კაცისათვის „ანკერ“ (და არა ცილინდრი) ინგლისურ შავ-თითბრისა. იმართება თავით 36 საათში ერთხელ, ხმა წკრიალო აქვს, 15 ქვიანია. 2. ქალთ. საუცხოვო ყელის ძეწკვი, ახალი ფასონისა. 3. ბრელოკი-კინემატოგრაფი კომპასით, ან საუცხოო სანახავებით. 4. ზამშის ბუდე საათისათვის. 5. მოხდენილი ბეჭედი ამერიკულ ოქროსი „დუბლე“, პარიზულის თვალ თ. 6. სათეატრო ბინოკლი ახრამტიულ შუშით ჩვეულებრივის ზომისა, რომელიც დიდის მანძილიდან აახლოვებს საგნებს. 7. საათის უზრუნველმყოფელი ქურდებისაგან. 8. პარიზის პლასტოგრაფი, ზედმიწევნით მაჩვენებელია სხვა და სხვა ზანახაობისა, 9—14 ექვსი მეტის-მეტად სიგულისხმო სურათი. სულ ეს ღირს მხოლოდ 2 მ. 95 კ., ორი წყება 5 მ. 50 კ., 4 წყება—10 მ. 50 კ. ასეთივე წყება ქალის საათი—3 მ. 70 კ. ესენივე სახურავიან საათით 1 მანეთით **მეტი ღირს.** ხსენებული წყება საათით და ნივთებით საუკეთესო ღირსებისა და უმაღლესი ხარისხისა—3 მ. 95 კ., ორი წყება—7 მ. 40 კ. გასაგზავნი ორ წყებამდე—40 კაპ. (ციმბირში 75 კ.) საათსა ვგზავნით შემოწმებულ-შესწორებულს წუთი-წუთზე 8 წლის თავდებობით, ფასდადებით და უბეოდ.

მისამართი: И. Штрумфельдъ, Варшава, Электоральная 11. Отд. 116.

ეს მისამართი ამოსჭერით და კონვერტს ან ღია წერილს დააკარით.

Метцль. 36443. 1337.

გამოსულია და იყიდება

ი. გედევანიშვილის პიესა

„გამცემი“

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

ინჟენერი
ი. ს. პონდოევი

ტფილისი.
ელისაბედის ქ , 164.
ბაქოს ქ. კუთხე.

ცემენტი
ასფალტი, ტუდრონი, ცეცხლის მძლე აგური და თიხა, ლურსმეულობა, „заклепки“, გულცარიელი აგური და კრამიტი და სხ., საშ. მასალა.

რკინის კოჭები,
საქვაბე რკინები,
საკუთხე რკინები,
სახურავების რკინები.
(შავი და ცინკნარევი).

ტელეფონი:
კანტორისა № 10—93
ფაბრიკისა № 11—96.

საშენებელი აგურები საკუთარ აგურხანიდან ვაკეზე 1474

მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი,

ქვირითის (კეტოვ.) ხიზილალა.

თევზის მრეწველნი

ძმ. ქებველოვები.

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.

1131

გამოსული ქერჩის

სელიოტკები,

და ყოველგვარი

კონსერვები.

მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქიტკა), ორაგული, თართი, ტარაღანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მოხარშული დოში, ზურგიელი,** და ყოველგვარი

◆ შავი ხიზილალა ◆

ქუთაისის მიხეილის სათავად-აზნაურო ბანკის ტფილისის განყოფილება,

ამით საყოველთაოდ იუწყება, რომ მიმდინარე 1912 წლის ნოემბრიდან განყოფილების სადგომში (სოლოლაკის ქუჩა, სახლი № 6) ყოველ დღე **ნებაყოფლობითი ვაჭრობით გაიყიდება ქვემოდ აღნიშნული მამულები,** რომელიც ბანკს დარჩა:

1) მამული **მელვინისეული,** მე-10 საპოლ. უბ., ელისაბედის ქუჩა № 99.
2) **ქ. აივაზოვისეული,** მე-10 საპოლიციო უბ., მალაკნების ქ. № 29.
3) **გარიევისეული,** მე-12 საპ. უბ., ანდრეევის ქუჩა № 108.
4) **ბალდუროვისეული,** მე-12 საპ. უბ., ანდრეევის ქ. № 122.
5) **ბაბაევისეული,** მე-12 საპ. უბ., ელისაბედის ქ. № 167.
6) **აკოფოვისეული,** მე-12 საპოლიც. უბ., დიდუბის ქ. № 18.
7) **ბაქრაძისეული,** მე-12 საპ. უბ., დიდუბე და შერემეტ. ქ. კუთხ. № 9/24.
8) **ბუხრაძისეული,** მე-12 უბ., დიდუბ. ქ. და რაჭის მისახვევი № 19.
9) **ხალიპინისეული,** 1 უბ., კარუსელის დაღმართ. № 35.
10) **გამყრელიძესეული,** მე-7 უბ., მუღანოს ქუჩა.
11) **გოცირიძესეული,** მე-8 უბ., ალექსანდროვ. მისახვევი № 6.
12) **ბაინდუროვისეული,** მე-6 უბ, თელავის ქ. № 12.
13) **ცერცვაძისეული,** მე-12 უბ., საგურამოს ქუჩ. № 5.
14) **შერბაბჩევისეული,** სირაჩხანაში № 23.
15) **მიქაძისეული,** 1-ლ თუმანოვის ქუჩა, № 23.
16) **კალატუზოვისეული,** ნორაშნის ქუჩა, № 4.
17) **გენესეული,** კოჯორში.

ამ მამულების თაობაზე დაწვრილებით ცნობათა მიღება შეიძლება ზემოხსენებულ ბანკის განყოფილებაში, ყოველ დღე, დილის 9 საათ. ნაშუადღევის 2 საათამდე, კვირა-უქმის გარდა. 1549

ძმ. საფარიანცი და ტერ-სააკოვი

პარიზული მაღაზია

გოლოვინის პროსპ. სამხედრო ტაძრის პირდაპირ.

მაღაზიასთან არსებულ

სამაგალითო სამკერვალოში განაგრძობს შეკვეთის მიღებას

რუსეთისა და საზღვარგარეთის ქარხნების

საუკეთესო მასალებისა.

თავისუფალი არჩევანი შეკვეთილ სამუშაოსი, როგორც

კაცებისა აგრეთვე ქალების მოდელებისა.

სრულის პატივისცემით

ძმ. **საფარიანცი და ტერ-სააკოვი.**

ტელეფონი **№ 258.** 1525

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, № 12 სტამბა „შრომა“.